პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 ნოემბერი, 1944 წ. № 237 (7190). ფასი 20 კაპ.

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა ბალტიის ფლოტის ხომალდების დახმარებით დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან კუნძულ სარემის (ეზელის) გაწმენდა. საბჭოთა ესტონეთის ტერიტორია მთლიანად განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან.

დიდება გმირ წითელ არმიას და მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს
ადმირალ ფრიბუცს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა ბალტიის ფლოტის ხომალდების დახმარებით, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დღეს, 24 ნოემბერს, დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან კუნძულ სარემის (ეზელის) გაწმენდა, რომელიც გერმანელებს დასაყრდენ პუნქტად ჰქონდათ გადაქცეული და რომელიც იფარავდა რიგის ყურის მისადგომებს.

ამით საბჭოთა ესტონეთის ტერიტორია მთლიანად განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან.

კუნძულ სარემის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ სტარინკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ალფეროვის, გენერალ-ლეიტენანტ პერნის ესტონელთა კორპუსის, გენერალ-მაიორ ტრუშკინის, გენერალ-მაიორ რომანენკოს, გენერალ-მაიორ რომანოვის, გენერალ-მაიორ ალიკასის, პოლკოვნიკ ფელდმანის ჯარებმა; კონტრ-ადმირალ სვიატოვის, კონტრ-ადმირალ კულეშოვის, კონტრ-ადმირალ იურკოვსკის, 1-ლი რანგის კაპიტან გუსკოვის, 1-ლი რანგის კაპიტან ოლეინიკის, მე-2 რანგის კაპიტან ლაზოს, მე-3 რანგის კაპიტან მაქსიმენკოვის, მე-3 რანგის კაპიტან სიროტინსკის, მე-3 რანგის კაპიტან რეზნიჩენკოს, მე-3 რანგის კაპიტან ნოვოჟილოვის, პოლკოვნიკ ზუბოვის, მაიორ ლეიბოვიჩის მეზღვაურებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ ბრუსერის, პოლკოვნიკ ბერეზუცკის, პოლკოვნიკ არუს, პოლკოვნიკ კარპაჩევის, პოლკოვნიკ კატუნინის, პოლკოვნიკ გოროგეცის, პოლკოვნიკ პოტიფოროვის, პოლკოვნიკ ბოიჩუკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ზაზიმკოს, პოდპოლკოვნიკ კუსლანუს, პოდპოლკოვნიკ ბარილოვის, პოდპოლკოვნიკ ჩორნიხის, პოლკოვნიკ ჩესნოკოვის, მაიორ ოლეინიკოვის, მაიორ კნიაზევის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სამოხინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანტონოვის, პოლკოვნიკ გრესკოვის, პოლკოვნიკ მატვეევის, პოდპოლკოვნიკ მეხანიკოვის, პოლკოვნიკ კორეშკოვის, პოდპოლკოვნიკ უსაჩევის, პოლკოვნიკ კუროჩკინის, პოლკოვნიკ მანჟოსოვის, პოდპოლკოვნიკ სლეპენკოვის მფრინავებმა; პოლკოვნიკ აკატოვის, პოდპოლკოვნიკ აფანასიევის, მაიორ ერმილოვის, მაიორ შელეხოვის, პოდპოლკოვნიკ გულტიაევის, პოდპოლკოვნიკ გულიანიცკის, პოდპოლკოვნიკ სოლომახინის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ მუშევის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები, ნაწილები და ხომალდები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი კუნძულ სარემის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ლენინგრადის ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ პერნის ესტონელთა კორპუსს, და ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებმაც დაიკავეს კუნძული სარემა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებსა და ხომალდებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კუნძულ სარემის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 24 ნოემბერი.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კომუნიკე
ი. ბ. სტალინისა და ვ. მ. მოლოტოვის საუბრების შესახებ ბ-ნ ი. შუბაშიჩთან მოსკოვში

საუბრებში, რომლებიც მოსკოვში სწარმოებდა 20-23 ნოემბერს, ერთი მხრივ, იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრ და საგარეო საქმეთა მინისტრ დოქტორ ი. შუბაშიჩსა, აგრეთვე იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნ ე. კარდელსა და იუგოსლავიის ელჩ ბ-ნ ს. სიმიჩსა და, მეორე მხრივ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვს შორის, მეგობრულად განხილულ იქნა იუგოსლავიის ძირითადი საკითხები, გაერთიანებულ ერთა შორის იუგოსლავიის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ამასთან დადასტურებულია იუგოსლავიის გაერთიანებული მთავრობის შექმნის საჭიროება იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც დადებულია იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს და საშეფო მთავრობის თავმჯდომარე დოქტორ ი. შუბაშიჩს შორის.

საბჭოთა მთავრობა მიესალმება მარშალ ტიტოს და პრემიერ შუბაშიჩის მეცადინეობას გააერთიანონ მეული ჭეშმარიტად დემოკრატიული სახალხო ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის, როგორც გამარჯვების მოპოვებასა და ევროპაში მშვიდობიანობის ორგანიზაციის დადებითი და კონსტრუქტიული ფაქტორის შექმნაში.

მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ივანე შუბაშიჩი

24 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ი. შუბაშიჩი. ბატონ შუბაშიჩთან ერთად გაემგზავრნენ იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ე. კარდელი, იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელი ლონდონში გენერალ-მაიორი ვ. ველებიტი და სხვ.

წამოვლილნი გაიცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ი. მ. მაისკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ევროპის მე-4 განყოფილების გამგემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ფ. ფ. მოლჩანოვმა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა მ. პ. კუტეზოვმა, აგრეთვე იუგოსლავიის ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ს. სიმიჩმა და იუგოსლავიის სამხედრო მისიის უფროსმა სსრ კავშირში გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ტერზ ჩმა.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, და გამოფენილი იყო იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ბაირაღები.

მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია

ბ. წ. 24 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე მაჯიგი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი დეკანი სსრ კავშირში სამბუ.

ჩრდილოეთის სადგურზე დელეგაციას შეხვდნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ი. მ. კაგანოვიჩი, აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, საკავშირო საზოგადოება „სოვმონგტუვტორგის“ თავმჯდომარე ვ. ი. ზაიცევი, საკავშირო საზოგადოება „ტეხნოეკსპორტის“ თავმჯდომარე ს. გ. არუთინოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ვ. ვ. კირილოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილების გამგის თანაშემწე მ. შ. ბახიტოვი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მისიის მრჩეველი სსრ კავშირში ჯარგალ-საიხანი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდების დახმარებით, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, 24 ნოემბერს დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან კუნძულ სარემის (ეზელის) გაწმენდა, რომელიც გერმანელებს დასაყრდენ პუნქტად ჰქონდათ გადაქცეული და რომელიც იფარავდა რიგის ყურის მისადგომებს. ამით საბჭოთა ესტონეთის ტერიტორია მთლიანად განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის ხომალდებს კუნძულ სარემის (ეზელის) სამხრეთ კიდურთან, რის შედეგადაც ჩაძირულია მოწინააღმდეგის ერთი ნაღმოსანი, ერთი საგუშაგო ხომალდი და ორი საგუშაგო კატერი; სამი ბომბის პირდაპირი მოხვედრებით დაზიანებულია ერთი მძიმე კრეისერი, გარდა ამისა, დაზიანებულია ორი საგუშაგო ხომალდი და ერთი სადესანტო კარვალი.

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ ჩოპის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის უბრეში, ფეკიშოვცეი, რევიშტე, ბლატნე რემეტი, ტეგენია, მოკჩა კრისოვი, შალაშუნოვა და რკინიგზის სადგური ჩერნა.

უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, დაიკავეს დასახლებული პუნქტები მეზე-ზომბორი, ლედიეშ-ბენიე, მაიოშში, პუსტა უიშილაბი, სიმარდი, პალოშვერეშმარტი, დიენდიეშოლმოში, ბაბი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

23 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 32 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ ჩოპის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს. მოწინააღმდეგე ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილები წყლის ზღუდეებთან, რომლებიც მოსული წვიმების გამო ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებად გადაქცნენ. ჩვენმა ქვეითებმა და არტილერისტებმა, რომლებმაც დაძლიეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ბრძოლა ველზე დარჩა მტრის ბევრი გვამი. დამწვარი და გერმანელთა 5 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის 22 ქვემეხი, 16 ნაღმსატყორცნი და 45 ტყვიამფრქვევი. ტყვედ წამოყვანილია 600 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სხვა უბნებზე საბჭოთა მეომარტეები, რომლებიც მუხლამდე წყალსა და ტალახში მიდიოდნენ, გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის ორ დასაყრდენ პუნქტს და გაანადგურეს მათი დამცველი გარნიზონები. მოსპობილია 200-ზე მეტი ჰიტლერელი, 156 გერმანელმა და უნგრელმა ოფიცერმა დაჰყარა და ტყვედ არის წამოყვანილი.

* * *

უნგრეთში ნ შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგე განდევნეს ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის სოფელი სიმარდი. ამ ბრძოლებში მოსპობილია მტრის ორ პატალიონამდე ქვეითი ჯარი. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა აგრეთვე ქალაქ დიენდიეშის ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა ზედიზედ ექვსი კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა ძლიერი ცეცხლით შეაჩერეს გერმანელები, შემდეგ კი დაედევნენ მათ და წინ წაწიეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 12 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ფრონტის სხვადასხვა უბანზე საბჭოთა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 500 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 9 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელთა რაზმები მთელ რიგ უბნებზე ამაოდ ცდილობდნენ დაზვერვა ეწარმოებინათ. ჩვენმა მეწინავე ქვეგანაყოფებმა დღის განმავლობაში ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაეფლიტეს. საბჭოთა ავიაციამ ბომბაჯდა და იერიში მიჰქონდა გერმანელთა კომუნიკაციებზე. ჩვენმა მფრინავებმა დაამტვრიეს მტრის 4 ორთქლმავალი, 10 სარკინიგზო ვაგონი და რამდენიმე ავტომანქანა. ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის აეროსტატი.

* * *

ქალაქ პუტუსკის სამხრეთით უფროს სერჟანტ სერგი მანჟოსის სნაიპერთა ჯგუფმა ერთ თვეში 180 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაეფლიტა. მანჟოსმა პირადად მოჰკლა 28 ჰიტლერელი. სხვა უბანზე თავი გამოიჩინა სნაიპერმა გვარდიის ზემდგომმა დავიდოვმა. სამ დღეში მან 12 გერმანელი მოსპო.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 563-ე ქვეითი დივიზიის 1147-ე პოლკის ჯარისკაცმა იოზეფ ბეკერმა განაცხადა: „ჩვენი დივიზია შედგენილ იქნა ამა წლის აგვისტოში ბერლინის რაიონში. სექტემბერში იგი გადმოყვანილ იქნა ბალტიისპირეთში და მონაწილეობდა ბრძოლებში. ჩვენ სულმუდამ უკან ვიხევდით. ერთ თვეში მწყობრიდან გამოვიდა დივიზიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობის ნახევარზე მეტი. ჩვენს მეზობლად მოქმედმა 227-ე ქვეითმა დივიზიამ პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაჰკარგა. ჯარისკაცები სასოწარკვეთილნი არიან. მათ იციან, რომ დივიზია მოწყვეტილია აღმოსავლეთ პრუსიას და „ქვაბში“ იმყოფება. ეს ლას საუცხოოდ ესმის, რომ ნაკლები იმედია ზღვით მშვიდობიანი ევაკუაციისა. საზღვაო გზა ძალიან საშიშია. ბევრი ხომალდი და ტრანსპორტი, რომელთაც გერმანელთა ჯარებისათვის უნდა მოეყვანათ მაშველი ძალები, მოეტანათ საომარი მასალა, საზამთრო ჩაცმულობა და ფოსტა, რუსების მფრინავებმა ჩასძირეს.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო განედევნა რუსები მათ მიერ წინადღით დაკავებული პოზიციებიდან. დილის ცხრა საათზე, იერიშზე რომ გადავედით, მოულოდნელად ძლიერ ცეცხლთს წინააღმდეგობას შევხვედით. ბატალიონმა ბრძოლის ველზე დასტოვა თავისი პირადა შემადგენლობის თითქმის ნახევარი და სასწრაფოდ დაიხია უკან. სანამ საწყის პოზიციებს მივაღწევდით, რუსების არტილერია ამოქმედდა. თავს დაგვატყდა ცეცხლისა და რკინის ვრიგალი. ამაზე უფრო საშინელი რამ არასოდეს არ განმიცდია. უნტერ-ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაჭრილები ბედის ამარად მიატოვეს და ცდილობდნენ ხოხვით მიეღწიათ სანგრებამდე. ეს მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა“.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სამკერდე ნიშნის „წარჩინებული მეხანძრის“ დამტკიცების შესახებ

შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის ამ პირების წახალისების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის რიგითთა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მეხანძრე“.

2. დამტკიცდეს დებულება სამკერდე ნიშნისა „წარჩინებული მეხანძრე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1944 წ. 22 ნოემბერი.

დებულება
სამკერდე ნიშნისა „წარჩინებული მეხანძრე“

1. სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მეხანძრე“ წარმოადგენს ჯილდოს შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის ნაწილების რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის ამ პირებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

2. სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მეხანძრე“ ჯილდოვდებიან შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის ის პირნი, რომლებიც სისტემატურად გვიჩვენებენ:

საუკეთესო წარმატებებს საბრძოლო მომზადების ყველა სახეობაში;

ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის საუკეთესო ბმარებას, მის მოხერხებულად გამოყენებას ხანძრის ჩაქრობისას;

გამბედაობას, მამაცობას, მიხვედრილობას და ინიციატივას ხანძრის ჩაქრობისას. ხანძრებისა და ავარიების დროს ადამიანთა ხსნისას, სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების ცეცხლისაგან დაცვისას;

საფეხურზეს, რაც გამოიხატება ხანძრის თავიდან აცილებაში, აგრეთვე:

ძვირფასი საგამომგონებლო და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სახანძრო დაცვის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას;

საუკეთესო პროფილაქტიკური და მასობრივი მუშაობისათვის, რაც უზრუნველჰყოფს მომაარტრებაში მყოფი ობიექტების უშიშროებას ხანძრისა მხრივ.

3. ნიშნით „წარჩინებული მეხანძრე“ დაჯილდოების უფლება ენიჭებათ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებს, მხარეებისა და ოლქების შინაგან საქმეთა სამმართველოთა უფროსებს, ამის შესახებ ბრძანებაში გამოცხადებით.

ამხანაგ სტალინის მოხსენება სომხურსა და აზერბაიჯანულ ენაზე

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა ამხანაგ სტალინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1944 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. (საკდესი).

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ასრულებდა რა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებას, „ტულშახტოსტროის“ ტრესტის შახტმშენებელთა კოლექტივმა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, ტულის ოლქის ახალ, სკურატოვოს საბადოში ააგო და აიქმაპლოატაციოდ გადასცა დღე-ღამეში 4.000 ტონა ქვანახშირის სიმძლავრის 4 ახალი მექანიზებული შახტი.

„ტულაუგოლის“ კომბინატის ახალი, სკურატოვოს შახტების მაღაროელთა კოლექტივები წარმატებით ითვისებენ ახალ შახტებს და გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების დაწესებულ გეგმას.

განსაკუთრებით მოკლე ვადაში — 6 თვეში—№ 7 შახტმა თითქმის სავსებით აითვისა საპროექტო სიმძლავრე, ხოლო „სკურატოვუგოლი“ მოსკოვსახლო ქვანახშირის აუზის დიდი, მოწინავე ტრესტი ხდება.

მთავრობის მიერ დაწესებულ მოკლე ვადებში გავლილ იქნა 12 შახტის ტანი, 16 ათასი გრძივ მეტრი მაღარო, გაყვანილია 22 კილომეტრი რკინიგზა, ამოღებულია 300.000 კუბმეტრი მიწა, გაყვანილია ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის 45 კილომეტრი ხაზი, აგებულია 15 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ახალი სკურატოვოს ქვანახშირის რაიონის ძმენებლები და მაღაროელები, რომელნიც აღფრთოვანებული არიან ჩვენი მშობლიური წითელი არმიის გრანდიოზული გამარჯვებებით, წითელი არმიისა, რომელმაც განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან, ახალ-ახალი საწარმოო წარმატებით შეხვდნენ ოქტომბრის 27-ე წლისთავს, ამასთან გაჩაღებული აქვთ ბრძოლა იმისათვის, რომ 1944 წელს აამუშაონ და აითვისონ კიევი ერთი მძლავრი მექანიზებული შახტი და დაიწყონ ორი ახალი შახტის მშენებლობა, რომელთა საპროექტო მოპოვება 600.000 ტონა ქვანახშირი იქნება წელიწადში.

ამხანაგო სტალინ, მოგახსენებთ რა თქვენი მითითებების შესრულებისა და მოსკოვსახლო ქვანახშირის ამოღების განვითარების შესახებ, რომელიც ჰკვებავს ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ცენტრალური ოლქების მრეწველობასა და ტრანსპორტს, პირობას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ტულის პარტიული ორგანიზაცია, შახტმშენთა და მაღაროელთა კოლექტივი მომავალშიც თავიანთი ძალების დაუზოგავად იბრძოლებენ ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის, რათა კიდევ უფრო გაძლიერონ დახმარება ჩვენი მშობლიური წითელი არმიისადმი მის გმირულ ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

„ტულშახტოსტროის“ ტრესტის მმართველი კრავცოვი.
მთავარი ინჟინერი შვარცმანი.
„ტულაუგოლის“ კომბინატის უფროსი პრიხოდკო.
კომბინატის მთავარი ინჟინერი როშჩუპკინი.
„სკურატოვუგოლის“ ტრესტის მმართველი შერსტნევი.
საკ. კ. პ. (ბ) ტულის საოლქო კომიტეტის მდივანი ჩმუტოვი.

ტულა

„ტულშახტოსტროის“ ტრესტი ამხ. კრავცოვს. შვარცმანს
„სკურატოვუგოლის“ ტრესტი ამხ. შერსტნევს
„ტულაუგოლის“ კომბინატი ამხ. პრიხოდკოს, როშჩუპკინს
საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტი ამხ. ჩმუტოვს

ვულოცავ „ტულშახტოსტროის“ ტრესტის და „ტულაუგოლის“ კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივს ტულის ოლქის ახალ სკურატოვოს საბადოზე დღე-ღამეში 4.000 ტონა ქვანახშირის სიმძლავრის 4 ახალი მექანიზებული შახტის მშენებლობის მოკლე ვადაში დამთავრებას და წარმატებით ათვისებას.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

ღრმად შევისწავლოთ დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენება
საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დასახა ღონისძიებანი ახალგაზრდობის მიერ დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების ღრმად შესწავლისათვის.

ბიუროს დაავალა საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მოაწყონ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საშუალო სკოლებში და ტექნიკუმებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვ. ბელადის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების წაკითხვა, აგრეთვე მოაწყონ ამ ისტორიული დოკუმენტის შესასწავლად ახალგაზრდობაში მოხსენებები და საუბრები.

ახალგაზრდობის პოლიტწრეებისა და კომკავშირული აქტივის ექვსთვიანი სკოლების მორიგი 3 მეცადინეობა დაეთმობა ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას.

მომდინარე წლის პირველ დეკემბრამდე უნდა ჩატარდეს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კრებები შემდეგი დღის წესრიგით: ამხანაგ სტალინის 1944 წლის საოქტომბრო მოხსენება და კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაავალა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უზრუნველყონ პირველად ორგანიზაციებში კრებების ჩატარება მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის ახალ შრომითს აღმავლობას, ახალგაზრდობას შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ამხანაგ სტალინის 1944 წლის 6 ნოემბრის მოხსენებასა და 7 ნოემბრის ბრძანებაში დასახულ ამოცანათა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

ორგანოპრეპარატების საბჭოთა მრეწველობის განვითარებისა და ამ პრეპარატებით წოველი არმიისა და მოსახლეობის მომარაგების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან სამედიცინო პრეპარატების წარმოების მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები და მუშები.

მათ შორის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია თბილისის ხორცკომბინატის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ხოხროს-ძე თოიძე და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ თბილისის ხორცკომბინატის სამედიცინო პრეპარატების საამქროს უფროსი ნიკოლოზ ფილიპეს-ძე რამიშვილი.

ი. ა. კრილოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

23 ნოემბერს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესია, რომელიც მიეძღვნა ი. ა. კრილოვის გარდაცვალების ასი წლისთავს.

სესიამ დიდძალი მონაწილე—გამოჩენილ მეცნიერი მოღვაწეები, ლიტერატურათმცოდნეები და მწერლები მოიზიდა. (საკდესი).

ევპატორიის კურორტი აღდგენის პროცესშია

გერმანელთა მიერ აფეთქებულ და დამწვარ ევპატორიის კურორტის შენობათა ნანგრევებში აღმართულია აღდგენილი სანატორიუმების დიდი კორპუსები. ყველა ესენი გამართულია საჭირო მოწყობილობით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო კადრებით.

ამჟამად ევპატორიაში მკურნალობენ წითელი არმიის დაჭრილი მებრძოლები და ოფიცრები, ასობით ბავშვი. მუშაობს მაინაკის ტალახ-სამკურნალო.

აღდგენის პროცესშია მეორე რიგის სანატორიუმები, კერძოდ, სანატორიუმი „უდარნიკი“, ცენტრალური საკურორტო პოლიკლინიკა და სხვა სანატორიუმები. წესრიგში მოყვანეს სსრ კავშირში საუკეთესო სამკურნალო ჰლაკი, საკურორტო სანერგე და ბოტანიკური ბაღი. (საკდესი).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტალინის მოხსენების პასუხად

მეშახტეთა სტახანოვური საქმეები

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ტყიბულელი მეშახტეები სულ მეტსა და მეტ ქვანახშირს იღებენ სამშობლოსათვის.

— მკლავში ძალა შეგვმატა ბელადის მოხსენებამ,—ამბობენ დიდი სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებული მუშები და გაორკეცებული ენერგიით აჩაღებენ შრომას. ბელადის მოხსენების შემდეგ ყველა შახტში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. შახტებში და მაღაროებში ახლა მძლავრი შრომითი აღმავლობაა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო ლენინის სახელობის შახტმა (უფროსი ამხ. ნ. კვინიხიძე, პარტიბიუროს მდივანი ამხ. ი. ითოლიანი), რომელმაც ნოემბრის პირველი დეკადის დავალება 101 პროცენტით შეასრულა, მეორე დეკადაში 35 პროცენტით გაზარდა ქვანახშირის ამოღება და სულ ნოემბრის გეგმის ზევით უკვე ამოიღო 1.422 ტონა ქვანახშირი. ლენინის სახელობის შახტის სიამაყეა მეორე საექსპლოატაციო უბანი. აქ ყველაფერი რიგზეა. სანგრევებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება ქვანახშირით სავსე ვაგონები.—ოქტომბერში თავდადებული მუშობისათვის ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და პროფკომის გარდამავალი დროშა მიგიღეთ,—ამბობს უბნის უფროსი, სამოო ტექნიკოსი მედალოსანი ლეო ვაშაკიძე,—ნოემბერში კი კიდევ უფრო უკეთესად ვმუშობთ, მეორე დეკადაში, პირველ დეკადასთან შედარებით, 279 ტონით გავადიდეთ ქვანახშირის ამოღება.

ლევან ვაშაკიძის უბანი გიორგი ფანჩულიძის უბანს ეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ფანჩულიძის უბანიც მოწინავეა. უბანმა ნოემბრის 19 დღეში 539 ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის ზევით ე. ი. დავალება 138 პროცენტით შეასრულა. ამ უბნის იმ ცვლამ, რომელსაც ი. გაბრიაძე ხელმძღვანელობს, ოც დღეში შეასრულა ნოემბრის გეგმა. ცვლა ახლა 20_30 ტონა ქვანახშირს იღებს ყოველდღიურად გეგმის ზევით. კარგად მუშაობს აგრეთვე ნ. ცერცვაძის უბანი. იგი საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს. მაგრამ შახტში ჯერ კიდევ სამარცხვინოდ ჩამორჩება გ. ჩიტიშვილის უბანი.

ლენინის სახელობის შახტში ბევრმა მეშახტემ 15 დღეში შეასრულა ნოემბრის გეგმა. ასეთებია ორდენოსანი მნგრეველები: ბ. თოდიძე, ა. ქასრაძე, ლ. ცქიფურიშვილი; მტვირთავები: ა. წკეპლაძე, ა. კალატოზიშვილი, ვ. დაღუნდარიძე და სხვ.

მძლავრი საწარმოო აღმავლობაა მიწისქვეშა გიგანტში—სტალინის სახელობის შახტში (უფროსი, ამხ. ლ. რატიანი, პარტბიუროს მდივანი, ამხ. რ. სადუნიშვილი), რომელსაც ოქტომბერში კარგი მუშაობისათვის გადაეცა ტყიბულქვანახშირის ტრესტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის გარდამავალი დროშა. შახტი ყოველდღიურად ადიდებს ქვანახშირის ამოღებას. აქ ისამდე ტონა ქვანახშირს იღებენ ყოველდღიურად გეგმის ზევით.

სტალინის სახელობის შახტში კვლავ წარმატებით მუშაობენ შ. შოთაძის, გ. გორგაძის, დ. დობორჯგინიძისა და პ. ნინიკაშვილის უბნები. მარტო გ. გორგაძის უბანმა ნოემბრის 19 დღეში 1.634 ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით. ეს მაშინ, როცა ბელადის მოწოდების პასუხად უბანმა იკისრა ნოემბერში გეგმის ზევით 1.000 ტონა ქვანახშირის ამოღება.

პირველი საექსპლოატაციო უბნის ქვანახშირის ორდენოსანმა მნგრეველმა დ. სუქნიძემ ნოემბრის გეგმა 14 დღეში შეასრულა. აქვე მუშაობს მედალოსანი დ. ტრუფანოვი. მან ოქტომბრის გეგმა 222 პროცენტით შეასრულა, რითაც ტრესტის საუკეთესო მნგრეველის სამატიო სახელწოდება მოიპოვა. ტრუფანოვი გაორკეცებული ენერგიით მუშაობს ნოემბერშიც. მან 15 დღეში შეასრულა მთელი თვის გეგმა.

მე_5 უბნის მებიგემ დ. ცხადაძემ 15 დღეში 65 ჩარჩოს ნაცვლად 145 ჩარჩო ჩადგა, ხოლო მტვირთავმა რ. ბოჭორიშვილმა 234 ტონის ნაცვლად 392 ტონა ქვანახშირი დატვირთა.

ტყიბულქვანახშირის ტრესტი (მმართველი ამხ. ა. ვარდიშვილი) ახლა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ტრესტმა ნოემბრის მეორე დეკადაში პირველ დეკადასთან შედარებით 3.440 ტონით გაადიდა ქვანახშირის ამოღება.

ასეთია ტყიბულელ მეშახტეთა შრომითი სალუტი დიდი ბელადის საოქტომბრო მოხსენების პასუხად.

დ. ქათამაძე

მონინავე საწარმოები

ქუთაისი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ქუთაისის საწარმოები ახალ წარმატებებს აღწევენ.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი გ. ეგეღავა, პარტორგანიზაციის მდივანი დ. ითობაშვილი) წლიური საწარმოო გეგმა 20 ნოემბრისათვის 101,2 პროცენტით შეასრულა.

გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ფ. ბაღდავაძის, ბ. კვერნაძის, ს. რუსაძის, ვ. კუპრაშვილის საამქროებმა, ქ. ასათიანის, ო. მებუკისა და ვ. ზვიადაძის ბრიგადებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ქკეყანასა და ფრონტს მისცეს რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია.

• • •

ნოემბრის პირველ ნახევარში კარგად იმუშავა ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშათა კოლექტივმა. ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც სამასოვანი ამხ. ლ. კიკვიძე ხელმძღვანელობს, გეგმა 192 პროცენტით შეასრულა. წარმატებით მუშაობენ სტახანოველები ზ. სმოლკინა, ნ. შაროვა, ნ. გეგია, ზ. ინოზემცევა და სხვ., რომლებმაც ნახევარი თვის საწარმოო დავალებები 310_330 პროცენტით შეასრულეს.

რ. ბერაძე

დროულად და კარგად შეეკეთოთ ტრაქტორები

ტრაქტორების საშემოდგომო_საზამთრო რემონტის წარმატებით ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1945 წელს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამჟამად დაწყებულია ტრაქტორების და მისაბმელი სასოფლო_სამეურნეო მანქანა_იარაღების რემონტი.

პირველ რიგში უნდა შეეკეთოთ ის ტრაქტორები, რომლებიც თავისუფლდებიან საშემოდგომო სამუშაოებისაგან. რემონტი განსაკუთრებით უნდა დაიჩქარონ დასავლეთ საქართველოს მტს_ებმა, რადგან მათ სატრაქტორო საშემოდგომო მინდვრის სამუშაოები არა აქვთ.

ტრაქტორების შეკეთების ოქტომბრის რესუბლიკური გეგმა 129 პროცენტით შესრულდა, ზეკეთდა 129 ტრაქტორი. ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებაში თავი ისახელა ცხაკაიის პირველმა მტს_მა (დირექტორი ამხ. კუპრაშვილი). ამ მტს_ში შეკეთებულია ყველა ტრაქტორი და მისაბმელი მანქანა_იარაღები. კარგად იმუშავა ალაზნის მტს_მაც. გიგმით გათვალისწინებული 3 ტრაქტორის ნაცვლად ოქტომბერში მან შეაკეთა 5 ტრაქტორი. ტრაქტორების რემონტის ოქტომბრის გეგმა შეასრულეს აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა მტს_ებმა.

ზოგან ჩამორჩენაც არის. რემონტი ნელი ტემპებით მიმდინარეობს წალკის, სართიჭალის, საგარეჯოს, კაჩეთის, გურჯაანის, მცხეთის, ბოგდანოვკის, შინდისის და ზოგიერთ სხვა მტს_ში.

რაც ადრე დავიწყებთ რემონტს, მით უფრო მეტია შესაძლებლობა მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ იგი. ზოგიერთმა მტს_მა შარშან რემონტი გვიან დაიწყო და თესვის დაწყებამდეც ვერ დაამთავრა (მაგალითად, შინდისის, ახალციხის, ახალქალაქის და სხვ. მტს_ები).

მტს_ების დირექტორებმა და უფროსმა მექანიკოსებმა გასული წლის გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ. ტრაქტორებისა და სასოფლო_სამეურნეო მანქანების შეკეთების ყოველთვიური გეგმები უნდა შესრულდეს მაღალხარისხოვნად და დაწესებულ ვადებში.

მანქანა_ტრაქტორთა სადგურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ რემონტის ხარისხს. შეკეთებული ტრაქტორი, როგორც წესი, მთლიანად დაკომპლექტებული უნდა იყოს. რემონტი არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, თუ ტრაქტორზე დადგმული არ არის კარტერიდან გაზის ამომწოვი და ცილინდრში წყლის მიწოდების მოწყობილობა. ტრაქტორის ძრავის მუშაობა უნდა შემოწმდეს სავამოვდო დანადგარზე. მტს_ებში უნდა გამოჰკონ მექანიკოს_კონტროლიორები, რომელთაც ევალებათ რემონტის ხარისხის დაცვა ეს საქმე უნდა მიენდოს დამლელ მექანიკოსებს ან მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებს.

მტს_ებში საშემოდგომო_საზამთრო რემონტის მიმდინარეობის შემოწმება ევალება კომისიას, რომელშიაც შედიან მიწგანის გამგე (თავმჯდომარე), მტს_ის დირექტორი და უფროსი მექანიკოსი. აღნიშნული კომისიისა მოვალეობაა აქტით მიიღოს ტრაქტორები და ადგილზევე გამოასწოროს ნაკლოვანებანი.

სამამულო ომის პირობებში მანქანა_ტრაქტორთა სადგურებისა მიერ ათვისებულ იქნა ბევრი რთული ნაწილის რეაღვარაციისა და დამზადების წესები. ნაწილების რეაღვარაციას და დამზადებას კარგად აწარმოებენ აბაშის, ფცარის, წნორის, წითელწყაროს, ალაზნის, ბორჩალოს მტს_ები. მიმდინარე წლის 9 თვეში საქართველოს მტს_ების მიერ დამზადებულ. და რესტავრირებულია 690 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

მანქანა_ტრაქტორთა სადგურებს დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის საწარმოები. 1944 წლის სამ კვარტალში ადგილობრივი ქარხნების მიერ დამზადდა 43 სახელწოდების ტრაქტორის ნაწილები სულ 270 ათასი მანეთის ღირებულებისა. ამავე პერიოდში სასოფლო_სამეურნეო მანქანებისათვის დამზადდა 55 სახელწოდების ნაწილები 290 ათასი მანეთისა. სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ის ქარხნები, სადაც დირექტორებად არიან ამხ. კანკავა, სარიშვილი, მელაძე. ამ მხრივ ცუდად მუშაობენ: ქარხანა, რომლის დირექტორია ამხ. ბოკერია (ამზადებს კომბაინის უხარისხო დეტალებს), ორთქლმავალ_ვაგონსარემონტო ქარხანა (უშვებს გუთნების უხარისხო სახნისებს) და ქარხანა, რომლის დირექტორია ამხ. ჯიქია.

ქარხნების დირექტორებმა მომავალში აღარ უნდა დაუშვან უხარისხო ნაწილების გამოშვება. ამავე დროს თვითეულმა მტს_მა უნდა გააძლიეროს, ნაწილების დამზადება და აღდგენა. თელავის, წნორის, ლაგოდეხისა და აბაშის მტს_ებს შეუძლიათ აწარმოონ ტრაქტორის ბლოკის სახურავის რესტავრაცია და ცილინდრის გალზების გამოჩარხვა. ამ საქმეში აღნიშნულმა მტს_ებმა დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე სხვა მანქანა_ტრაქტორთა სადგურებს.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად მტს_ების მუშაკებმა იკისრეს დროულად და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტრაქტორები. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქმით შეეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, მეტი ყურადღება მივაქციოთ სარემონტო სახელოსნოებში შრომის მოწესრიგებას, სათადარიგო ნაწილებისა და ხელსაწყო_იარაღების რაციონალურად გამოყენებას.

ი. ხოხლოვი

საქართველოს სსრ მიწსახკომის მთავარი ინჟინერ_მექანიზატორი

გეგმების შესრულება

მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა მიიკოიკის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ნოემბრისათვის მთლიანად შეასრულეს, ქედან ცხენისა—104 პროცენტით, ცხვრისა და თხის—101,5 პროცენტით, ღორისა—120 პროცენტით, ფრინველისა კი—130 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით წელს მუშა_ხარების მატება ეღირის 6,3 პროცენტს, ძროხებისა—5,6 პროცენტს.

საქართველოს კ. პ. (ბ) მიიკოვსკის რაიკომის მდივანი **ნანიტაშვილი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ენდელაძე**

• • •

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნა გეგმა 20 ნოემბრისათვის 102,7 პროცენტით შეასრულეს, გეგმით გათვალისწინებული 7.300 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია 7.500 ჰექტარი. ხვნა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი **ფოფხაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გელაშვილი**

დღეკვეზები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც შეტევას ავითარებენ ვენლოს რაიონში, ამ ქალაქს სამ მილზე მიუახლოვდნენ. ჩელმონდ_ვენლოს რკინიგზის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ნაწილებმა დაახლოებით ერთი მილით წაიწიეს წინ ძნელადსასვლელ ადგილებში და დაიკავეს ჰორსტი.

გერმანიაში, ჰაილენკირხენის ჩრდილო_აღმოსაკლეთით, გაფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ჰოფენსა და ბეეკის რაიონში, სადაც მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. მოკავშირეთა ნაწილები ნელა მიიწევენ კოსლარის მიმართულებით, იულიხის რაიონში.

ვაისეაილერის ჩრდილოეთით ბრძოლები სწარმოებს ლომში. სხვა ნაწილები, რომლებიც ვაისეაილერის დასავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ_აღმოსავლეთით იმყოფებიან, ამ ქალაქისაკენ მიიწევენ. ჰერტგენის ტყის რაიონში გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. მოკავშირეთა ნაწილები სძლევენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და ნელა მიიწევენ წინ.

მეცის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილები ოიპანს_ორობახს მიადგნენ, ხოლო ქვეითმა ჯარმა ლაივაილერის გარეუბნებს მიაღწია.

ფრენერსდორფის (ლოტარინგია) მახლობლად მოგერიებულია მოწინააღმდეგის კონტრიერიში. უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილები ფინშტინგერს მიადგნენ. მოკავშირეთა ჯარებმა განახორციელეს გარღვევა საარნის გასასვლელში, მიაღწიეს სტრასბურგს და ბევრი ქალაქი გაათავისუფლეს ელზასის ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე. სწრაფი შეტევის დროს ხელთ ვიგდეთ 3 ათასი ტყვე, მათ შორის 2 გენერალი.

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე_8 არმიის ინგლისელთა ნაწილებმა გაფთრებული ბრძოლებით შეჭმნეს ხიდწინა სიმაგრე მდინარე კოზინანზე და მოიგერიეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი ძლიერი კონტრიერიშები, რომელთაც ტანკები ეხმარებოდნენ. მე_5 არმიის ნაწილებმა აგრეთვე ჩოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გაფთრებული იერიში.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე იტალიასა და იუგოსლავიაში.

აღმოსავლეთ პრუსიაში. საბჭოთა მებრძოლები შედიან გერმანელთა ქალაქ ეიდტკუნენში.
ფოტო ლ. ველიკანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ამერიკის „მწვანიანი ცხენები“ თავს დაესხნენ ჭოკიოს

ნიუ_იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს ცნობით, „მწვანიანი ცხენის“ მარკის ბომბდამშენთა დიდი ძალები დღეს თაკვ დაესხნენ ტოკიოს. თავდასხმა მოხდა დღისით იმ ბაზებიდან, რომლებიც კუნძულ საიპანზე (მარიანის კუნძულები) მდებარეობენ.

ამერიკის არმიის სამხედრო_საჰაერო ძალთა სარდლმა გენერალმა არნოლდმა განაცხადა, რომ ახლა მთელი იაპონიის იმპერია ამერიკის თვითმფრინავთა მოქმედების რადიუსში იმყოფება. უკანასკნელმა თავდასხმამ დიდი ზარალი მიაყენა ტოკიოს მრეწველობას.

ტოკიო, 24 ნოემბერი. (საკდესი). იაპონიის საიმპერატორო ბანაკის ცნობაში, რომელიც დომეი ცუსინის სააგენტომ გადასცა, ნათქვამია: „დღეს ამერიკის ბომბდამშენები, რომლებსაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, რამდენიმე ტალღად დიდი სიმაღლიდან თავს დაესხნენ დედაქალაქს. თავდასხმამ დაახლოებით ორ საათს გასტანა“. როგორც აღნიშნავენ, თავდასხმაში 70 ბომბდამშენი მონაწილეობდა.

საკონსულტაციო ასამბლეის რეზოლუცია საპარლამენტთაშორისო ჯგუფების შექმნის შესახებ

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, საკონსულტაციო ასამბლეის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ვენსენ ორიორლმა 22 ნოემბერს ასამბლეაში კამათის დროს განაცხადა, რომ კომისიამ გადასწყვიტა აღდგენილ იქნას საფრანგეთ_ბრიტანეთის საპარლამენტთაშორისო ჯგუფი. კომისიამ აგრეთვე გადასწყვიტა მიიწვიოს პარიზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები საფრანგეთ_საბჭოთა კავშირის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის შექმნის მიზნით. მოწონებულ იქნა გადაწყვეტილება საფრანგეთის დელეგატებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა ურთიერთ დარბაზობის შესახებ.

ხალხის მფრეკების ქონების კონფისკაცია იუგოსლავიაში

ბელგრადი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რადიოსაღგური „სლობოდნა იუგოსლავია“ გადმოგვცემს, იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა მიიღო გადწყვეტილება ხალხის მტრების ქონების სახელმწიფო საკუთრებად გადასვლის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებად გადადის ფერმანიისა და მისი მოქალაქეების მთელი ქონება, რომელიც იუგოსლავიის ტერიტორიაზე იმყოფება, აგრეთვე გერმანელი ეროვნების პირთა ქონება, გარდა იმ პირებისა, რომლებიც იბრძოდნენ იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანთა რაზმების რიგებში, ანდა არიან ნეიტრალურ სახელმწიფოთა მოქალაქენი, თუ მათი ყოფაქცევა მტრული არ იყო ოკუპაციის დროს. სახელმწიფოს საკუთრებად გადადის აგრეთვე სამხედრო დამნაშავეთა და მათ ხელმძღვანელთა მთელი ქონება, მათი ქვეშევრდომობის დამოუკიდებლად.

მიკოლაიჩიკის გადადგომა

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს საღამოს ლონდონში გამოაცხადეს, რომ გადადგა ჰოლანდიის მთავრობის პრემიერ_მინისტრი სტანისლავ მიკოლაიჩიკი. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო პრემიერ_მინისტრად მოადგილეს კვაპინსკის.

კავშირგაბმულობის მოწინავე კანტორა

კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკურმა კავშირმა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულმა სამმართველომ შეაჯამეს კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ოქტომბერში.

ეიერის გადაწყვეტილებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ საბჭომიბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 2,000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა დუშეთის კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორას (უფროსი ამხ. ლოთიკაშვილი), რომელმაც ოქტომბრის აჯარმოო დავალება 36,7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

ეიერის აღნიშნა აგრეთვე ამბროლაურის (უფროსი ამხ. კანდელაკი), გეგეჭკორის (უფროსი ამხ. ხელორდავა) და გაგრის (უფროსი ამხ. სამელია). კავშირგაბმულობის რაიონული კანტორების კარგი მუშაობა.

დიდი მოგება

ჩხარი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ სიქთარვის ჩაპევის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ბიკოლოზის_ასულმა ქოჩიაშვილმა 17 ნოემბერა ჩხარის რაიონულ შემნახველ სალაროში შესამოწმებლად მიიტანა ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთები. ამხ. ნინო ქოჩიაშვილს ერთ_ერთ ბილეთზე (№ 0869, სერია 099441) 50,000 მანეთის მოგება ხვდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

კვირას, 26 ნოემბერს, დილის 11 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების სხდომა. მოხსენებას გააკეთებს აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი თემაზე: „კაუზალგიური სინდრომის წარმოშობის შეაახებ“.

დასწრება თავისუფალია.

ლექცია

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. კილასონიას ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ვაჭრობა სამამულო ომის პერიოდში“.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს სესია

25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომის დარბაზში (ფედერაციის ქ. № 2) შესდგება **მშრომელთა დეპუტატების III. კიროვის რაიონული საბჭოს XI სესია.**

ერეკლეს ბრძოლა

სტრეპტოციდის მოქმედების მექანიზმი და მისი გამოყენების ახალი შესაძლებლობანი

სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მ. რცხილაძემ შეისწავლა სტრეპტოციდის, სულფიდინის, სულფაზოლისა და სხვა სულფამიდური პრეპარატების მოქმედების მექანიზმი. ამ პრეპარატების მოქმედების საუცხოო ეფექტი აიხსნება იმით, რომ ისინი აჩერებენ ბაქტერიების გამრავლებას და არღვევენ მიკრობებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ნივთიერებებს.

ი. მ. რცხილაძე 1940 წლიდან დაკვირვებებს ახდენდა ხორბლის მარცვლის აღმოცენებაზე. უკვე პირველმა ცდებმა ცხადყო არსებითი განსხვავება სტრეპტოციდის ხსნარში და ჩვეულებრივ წყალში მარცვლების ზრდას შორის. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ წყალში მარცვალი უკვე მეორე დღიდან იწყებდა ზრდას და ღეროს სიგრძე მე_12 დღეზე 16_28 სანტიმეტრს უდრიდა, ხოლო ფესვებისა —4_14 სანტიმეტრს, სტრეპტოციდის ხსნარში ზრდა გაეკონდათ უფრო ნელი იყო: მეთორმეტე დღეზე ღეროს სიგრძე აღწევდა 1_4 სანტიმეტრს, ხოლო ფესვებისა—არაუმეტეს — 0,1_0,4 სანტიმეტრისა.

მეცნარეთა ფიზიოლოგიიდან ცნობილია, რომ ფესვებსა ზრდა ფაქტორს წარმოადგენს კოკარბოქსილაზას ფერმენტი (ვიტამინი B_1). სტრეპტოციდი აჩერებს რა ფერმენტის მოქმედებას, აჩერებს ფესვების ზრდასაც. ცნობილია აგრეთვე, რომ ვიტამინი B_1 ძონაწილეობას იღებს დუღილის პროცესში (მაგალითად, სპირტისა, ძმარ_მეავასი და სხვა). ი. მ. რცხილაძის დაკვირვებებით სტრეპტოციდი აჩერებს ამ დუღილს, რაც დაადასტურა შემდგომმა ცდებმა.

ორგანიზმში სტრეპტოციდის შეყვანის შემდეგ ადამიანის სისხლში შაქრის გამოკვლევამ აგრეთვე გვიჩვენა ნივთიერებათა ნორმალური ცვლა დარღვევა.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ სტრეპტოციდი გავლენას ახდენს B_1 ვიტამინის ფერმენტზე და აჩერებს მის მოქმედებას. აქით აიხსნება სტრეპტოციდის კარგი ეფექტი სხვადასხვა დაავადებისა. სპობა რა ფერმენტის მოქმედებას, იგი აღკვეთს მთელ რიგ იმ ახალ ნივთიერებათა წარმოშობის შესაძლებლობას, რომელნიც მიკრობთა ზრდის ფაქტორს წარმოადგენენ (მაგალითად, სტრეპტოკოკისათვის — გლუტამინი).

ი. მ. რცხილაძის გამოკვლევანი და ცდები სტრეპტოციდია მოქმედებაზე საწყვეტენ მრავალი დაავადების წინააღმდეგ ახალი ამაკორნალო პრეპარატების დამზადების პრობლემას, აგრეთვე შესაძლებლობას იძლევიან ჩატარებულ იქნას გაღრმავებული ცდები სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებშიც, როგორიცაა მეღვინეობა, • კვების პრეწველობა და სხვ. (აკადემ.).

ტბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი

აცხადებს დამატებით მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: გობოი, ვალტორნა, საყვარი და ტრომბონი. ძიღებიან მუსიკალური სმენის მქონე ბავშვები 13_დან 17 წლამდე ასაკისა.

ძიღებელნი უზრუნველყოფილი იქნებიან ინსტრუმენტებით და სტიპენდიით.

განცხადების შემოტანა შეიძლება ყოველდღე 12_დან 6 საათამდე კანცელარიაში, გრიბოედოვის ქ. № 8, ოთახი № 4.

მუსიკალური ათწლედის დირექცია

თოჯინების ქართული თეატრი

(რუსთაველის პროსპ. 28)

26 ნოემბერი

„ძარი შხალში“

დაიწყება დღეს 12 ს., 2 ს. და საღამოს 7 ს.

მოქალაქე **ასკარ ივანეს_ძე დავიდოვმა,** მკვლევრებმა ასპინის ქ. № 6, აღირა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **შუშანა გიორგის_ასულ დეკანიდოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილულ იქნება ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მე_2 უბნის სახალხო სასამართლოში.

დაკარგულია ბორჩალოს რაიონული ტროპიკული სადგურის ძრგვალი ბეჭედი ს. ბ.

ა. წ. 25 ოქტომბერს კაპის რაიონის ადგილობრივ რადიო_გადაცემათა რედაქციიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა თანამშრომელი ასმათ ბაგრატის_ასული დავითიშვილი, 17 წლის, მაღალი ტანი, გამხდარი, ფერმკრთალი, თმაშეკრეჭილი. აცვია ლურჯი აბრეშუმის კაბა. მოქაოვილი ნაცრისფერი შალის ეკიპტი, ახურავს ასევე ქუდი, აცვია ყავისფერი მაუდის ჩალტა, ყავისფერი ფეხსაცმელი. მნახველს ვთხოვთ აცნობოს კასპის ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციას, რასთვისაც მიიღებს ჯილდოს.

ივანე სახელაშვილი და ივანე შავგულიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 26/XI, 4 ს. დანიშნულია ეუფუნა შავგულიძე_სახელაშვილის და ოსეფ იაკობის_ძე შავგულიძის პანაშვიდი.

კაშმაძე, ბახტაძე, გოგუაძე, ოდიშარია, ჯაყელი, ჩანტლაძე, ცხვედიანი, ნუცუბიძე, კოშაძე იუწყებიან ათიელას მეუღლის ოთარ შვანგირაძის გარდაცვალებას.

დედა მარიამ, ბებიები ოლია, კერა, მამიდა ნინო იუწყებიან ლამარა მარიამიძის გარდაცვალებას პანაშვიდი 25/XI, 6½ ს. გამოსაკვნება 26/XI, 3 ს. მარტეს, 6.

ინდუსტრიული ინსტიტუტის ალუმნატების ტექნოლოგიის კაბინეტის წევრები იუწყებიან ქ. ქინქლაძეს ამმის **ანსენ ქინქლაძის** გარდაცვალებას.

უფლებისა მეგობრები გიორგი გამყრელიძე, არჩილ და ეთერ გიორგობიანები ძმობლებით იუწყებიან **ოთარ ალექსანდრეს_ძე შვანგირაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ნადია, ნიკოლოზ (ივანე), მეუღლე ლიდა, შვილი ალიკო, ძმა ვახტანგ, და ანიკო ქმარ_შვილით იუწყებიან, რომ 26/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დასაფლავდა ინჟინერ **შალვა ნადირაშვილისა** და მისი შვილის პატარა მალხაზის საფლავი. ქმრები ნინა, ნინო შვილებით, ბაბუა გაბრიელ, ბებია ზინა, მამიდა ვოგუკა მურავეველაძეები, ბიძა რეზო ბეჟანიშვილი იუწყებიან **ნანულის** გარდაცვალებას.

დედა ოლია ივანეს_ასული საბაშვილი შვილით გურამით, ბებია ეფროსინე სოფელი იუწყებიან, რომ 26/XI, 1 ს. პეტრე_პავლეს ასაფლაოზე დანიშნულია **ნანას** პანაშვიდი.

ძმა ტუტე კოლ_შვილი, და ქაქანა, რძლები ნინო, ქრისტინე შვილებით იუწყებიან **ბავლე რამიშვილის** გარდაცვალებას. გაძოკვნება 26/XI, დიღტბილ V შესახ. 8.

მეუღლე ანა, შვილები თინა, ბერი, ბაბუა იუწყებიან, რომ 25/XI, 2 ს. დანიშნულია **დავით ნესტორის_ძე** ანგლიდიანის პანაშვიდი.

შვილები ანა, ფატი, ალიკ, პარმენ, პანტელეიმონ ოჯახებით იუწყებიან **ფეოდოსი ფარნაოზის_ასულ შარაშიძის** გარდაცვალებას.

ძმა ვარლამ, ბიძა რაფდენ, ბიცოლები ნინა, ნინო შვილებით, ბაბუა გაბრიელ, ბებია ზინა, მამიდა ვოგუკა მურავეველაძეები, ბიძა რეზო ბეჟანიშვილი იუწყებიან **ნანულის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინა, ძმები ნევრონ, დავით, დები თამარ, ლუბა ხუციშვილები, შვილი მერი იუწყებიან **ოლიას** გარდაცვალებას.

ბ. გომელაურის შემოქმედების საღამო

ორშაბათს, 27 ნოემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბ. გომელაურის ასაკეენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მოხსენებას ბ. გომელაურის ასაკეენო მოღვაწეობის შესახებ გააკეთებს ბ. დადიანი.